ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 10 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 10 თვის ბიუჯეტის მაჩვენებლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის შესრულება (10 თვე)	შესრულების %
შემოსავლები	**169 856,4**	**131 068,2**	**77,2%**
გადასახადები	66 888,8	69 093,3	103,3%
გრანტები	76 203,5	31 158,2	40,9%
სხვა შემოსავლები	26 764,1	30 816,7	115,1%
ხარჯები	**117 905,7**	**79 384,3**	**67,3%**
შრომის ანაზღაურება	25 537,6	20 163,3	79,0%
საქონელი და მომსახურება	44 074,0	31 104,6	70,6%
პროცენტი	179,5	179,5	100,0%
სუბსიდიები	15 851,8	12 531,8	79,1%
გრანტები	15,0	4,8	32,0%
სოციალური უზრუნველყოფა	11 202,8	7 047,5	62,9%
სხვა ხარჯები	21 045,0	8 352,8	39,7%
საოპერაციო სალდო	**51 950,7**	**51 683,9**	**99,5%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**63 524,2**	**18 047,5**	**28,4%**
ზრდა	84 474,2	34 819,5	41,2%
კლება	20 950,0	16 772,0	80,1%
მთლიანი სალდო	**-11 573,5**	**33 636,4**	**-290,6%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-14 339,0**	**30 871,6**	**-215,3%**
ზრდა	0,0	30 875,8	-
ვალუტა და დეპოზიტები	0,0	30 875,8	-
კლება	14 339,0	4,2	-
ვალუტა და დეპოზიტები	14 339,0	0,0	-
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	4,2	-
ვალდებულებების ცვლილება	**-2 765,5**	**-2 764,8**	**100,0%**
კლება	2 765,5	2 764,8	100,0%
საშინაო	2 765,5	2 764,8	100,0%
ბალანსი	**0,0**	**0,0**	

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის შესრულება (10 თვე)	შესრულების %
შემოსულობები	**190 806,4**	**147 844,4**	**77,5%**
შემოსავლები	169 856,4	131 068,2	77,2%
არაფინანსური აქტივების კლება	20 950,0	16 772,0	80,1%
ფინანსური აქტივების კლება	0,0	4,2	-
გადასახდელები	**205 145,4**	**116 968,6**	**57,0%**
ხარჯები	117 905,7	79 384,3	67,3%
არაფინანსური აქტივების ზრდა	84 474,2	34 819,5	41,2%
ვალდებულებების კლება	2 765,5	2 764,8	100,0%
ნაშთის ცვლილება	**-14 339,0**	**30 875,8**	

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 10 თვის ბიუჯეტის შემოსულობები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 147 844,4 ათასი ლარი. რაც შემოსულობების 2021 წლის მთლიანი დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 77.5%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 69 093,3 ათასი ლარი (შემოსულობების 46.7%), გრანტებისა და ფინანსური დახმარების სახით მიღებულ შემოსავლებზე – 31 158,2 ათასი ლარი (შემოსულობების 21.1%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 30 816,8 ათასი ლარი (შემოსულობების 20,8%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (პრივატიზებიდან მიღებულ შემოსულობაზე) – 16 772,0 ათასი ლარი (შემოსულობების 11,3%) და ფინანსური აქტივების კლებაზე - 4,2 ათასი ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები

#	შემოსულობის დასახელება	თანხა (ათასი ლარი)	წილი მთლიან შემოსულობებში
1	**შემოსავლები**	**131 068,3**	***88,7%***
1,1	გადასახადები	69 093,3	*46,7%*
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	31 158,2	*21,1%*
1,3	სხვა შემოსავლები	30 816,8	*20,8%*
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**16 772,0**	***11,3%***
3	**ფინანსური აქტივების კლება**	**4,2**	***0,0%***
ჯამი		**147 844,5**	***100%***

შემოსულობების ცალკეული კატეგორიების მიხედვით შესრულების მდგომარეობა შემდეგია:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები



#	შემოსულობების დასახელება	2021 წლის გეგმა	საკასო შესრულება	გადახრა	შესრულება %
1	**შემოსავლები**	**169 856,4**	**131 068,3**	***38 788,1***	***77,2%***
1,1	გადასახადები	66 888,8	69 093,3	*-2 204,5*	*103,3%*
1,2	გრანტები და ფინანსური დახმარება	76 203,5	31 158,2	*45 045,3*	*40,9%*
1,3	სხვა შემოსავლები	26 764,1	30 816,8	*-4 052,7*	*115,1%*
2	**არაფინანსური აქტივების კლება**	**20 950,0**	**16 772,0**	***4 178,0***	***80,1%***
3	**ფინანსური აქტივების კლება**	**0,0**	**4,2**	***-4,2***	**-**
ჯამი		**190 806,4**	**147 844,5**	***42 961,9***	***77,5%***

მიმდინარე წლის 10 თვეში მობილიზებული შემოსულობები წლიური გეგმიური მაჩვენებლის 77,5%-ია.



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 10 თვის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები წლიურ გეგმასთან მიმართებაში



შემოსავლები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 169 856,4 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 131 068,3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 77,2%.

შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებსა და ფინანსურ დახმარებას, სხვა შემოსავლებს.

გადასახადები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 10 თვის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შედეგების მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 69 093,3 ათასი ლარი, რაც შესაბამისი გეგმიური მაჩვენებლის - 66 888,8 ათასი ლარის 103,3%-ია, კერძოდ: ქონების გადასახადი - 25 683,3 ათასი ლარი და დამატებული ღირებულების გადასახადი - 43 410,0 თავის მხრივ, მთლიან შემოსულობებში საგადასახადო შემოსავლების წილი შეადგენს 46,7%-ს.

ფინანსური დახმარება და გრანტები

2021 წლის 10 თვის განმავლობაში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 31 158,2 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 76 203,5 ათას ლარს.

მიღებული ფინანსური დახმარებიდან სხვა სპეციალური ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან შეადგენს - 1 467,6 ათასი ლარი, სხვა მიმდინარე გრანტები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან - 500,0 ათასი ლარი, ხოლო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება 29 190,6 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის: კაპიტალური ტრანსფერი 24 977,4 ათას ლარს, სპეციალური ტრანსფერი 4 144,1 ათასი ლარი და რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სპეციალური ტრანსფერი - 69,1 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში ფინანსური დახმარების (გრანტები) წილი 21,1%-ია.

<u>სხვა შემოსავლები</u>

სხვა შემოსავლების 2021 წლის საპროგნოზო მოცულობა 26 764,1 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 30 816,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 115,1%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 20,8%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 4 484,9 ათასი ლარი, მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მობილიზებულია 3 077,1 ათასი ლარი;

- **რენტის** სახით მიღებულია 1 407,8 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 20 143,2 ათასი ლარი, აქედან,

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით – 20 126,4 ათასი ლარი. მათ შორის:

- **მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა)** – 889,2 ათასი ლარი;

- **საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი** - 1,1 ათასი ლარი;

- **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** - 3,4 ათასი ლარი;

- **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** - 16 676,3 ათასი ლარი;

- **ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის** - 70,0 ათასი ლარი;

- **ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** - 2 486,5 ათასი ლარი;

- **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 16,7 ათასი ლარი;

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 5 246,0 ათასი ლარი.

ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მობილიზებულია 942,8 ათასი ლარი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 10 თვის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



<u>**არაფინანსური აქტივების კლება**</u>

2021 წლის 10 თვის განმავლობაში არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობა 16 772,0 ათას ლარს შეადგენს, რაც გემის 80,1%-ია.

<u>**ფინანსური აქტივების კლება**</u>

2021 წლის 10 თვის განმავლობაში ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსულობა 4,2 ათას ლარს შეადგენს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ასიგნებები პროგრამულ ჭრილში

- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებაზე**

2021 წლის 10 თვის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 7 911,7 ათასი ლარი, მათ შორის:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო -1 243,9 ათასი ლარი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 3 716,8 ათასი ლარი;
- სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 2 944,3 ათასი ლარი;
- წვევამდელთა ტრანსპორტირება - 6,7 ათასი ლარი.

- **მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება** 55 485,1 ათასი ლარით, მათ შორის:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 25 523,4 ათასი ლარი;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 9 909,8 ათასი ლარი;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 12 754,0 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია-დემონტაჟი - 5 012,9 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 380,7 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 1 305,1 ათასი ლარი;
- ქალაქის კეთილმოწყობა - 599,2 ათასი ლარი.

- **ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება** 15 879,5 ათასი ლარით, მათ შორის:

- ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება - 8 420,8 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 7 458,7 ათასი ლარი;

- **განათლების სფერო დაფინანსდა** 10 945,6 ათასი ლარით, მათ შორის:

- სკოლამდელი აღზრდა განათლება - 10 888,2 ათასი ლარი;
- პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 50,0 ათასი ლარი;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 7,4ათასი ლარი.

- **კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** 9 446,8 ათასი ლარით, მათ შორის:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 3 306,5 ათასი ლარი;
- მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - 2 596,7 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 1 264,0 ათასი ლარი;
- კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 1 867,4 ათასი ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 321,8 ათასი ლარი;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 90,3 ათასი ლარი.

- **ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდა** 12 451,4 ათასი ლარით, მათ შორის:
  - ჯანმრთელობის დაცვა - 3 190,0 ათასი ლარი;
  - სოციალური უზრუნველყოფა - 8 615,4 ათასი ლარი;
  - სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 645,9 ათასი ლარი.

- **ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება დაფინანსდა** 10,6 ათასი ლარით, მათ შორის:
  - ქალაქის ურბანული განვითარება - 10,6 ათასი ლარი.

- **მუნიციპალური სერვისების განვითარება დაფინანსდა** 4 837,9 ათასი ლარით, მათ შორის:
  - მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 4 837,9 ათასი ლარი.

2021 წლის გადასახდელების ნაწილში 10 თვის საკასო შესრულებამ შეადგინა 116 968,6 ათასი ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის - 205 145,4 ათასი ლარის 57%-ს შეადგენს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 10 თვის ბიუჯეტის გადასახდელებს ეკონომიკურ ჭრილში აქვს შემდეგი სახე:

#	გადასახდელების დასახელება	ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები			
		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი (10 თვე)	შესრულების %	%-ლი წილი
I	**ხარჯები**	**90 904,9**	**84 376,5**	**92,8%**	**59,8%**
1	შრომის ანაზღაურება	24 584,9	23 530,2	95,7%	16,7%
2	საქონელი და მომსახურება	37 348,2	34 179,2	91,5%	24,2%
3	პროცენტი	359,4	353,6	98,4%	0,3%
4	სუბსიდიები	14 750,9	13 654,8	92,6%	9,7%
5	გრანტები	15,5	5,9	38,1%	0,0%
6	სოციალური უზრუნველყოფა	7 874,0	7 319,3	93,0%	5,2%
7	სხვა ხარჯები	5 972,0	5 333,4	89,3%	3,8%
II	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**61 404,1**	**54 683,2**	**89,1%**	**38,8%**
III	**ვალდებულებების კლება**	**1 946,8**	**1 933,1**	**99,3%**	**1,4%**
გადასახდელების ჯამი		**154 255,8**	**140 992,8**	**91,4%**	**100%**

შრომის ანაზღაურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 20 163,3 ათას ლარი, მისი ხვედრითი წილი მთლიან ასიგნებებში არის 67,9%.

საქონელზე და მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 31 104,6 ათასი ლარი, მისი წილი მთლიან ასიგნებებში 26.6%-ია.

პროცენტების დაფარვის ხარჯებმა შეადგინა 179,5 ათასი ლარი, რაც ასიგნებების მთლიანი მოცულობის 0.2%-ია.

სუბსიდიის სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 12 531,8 ათას ლარს, მისი ხვედრითი წილი მთლიან მოცულობაში არის 10.7%.

გრანტების სახით გაწეული ხარჯი შეადგენს 4,8 ათას ლარს.

სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 7 047,5 ათასი ლარი, მთლიანი მოცულობის 6.0%.

სხვა ხარჯებზე გაიხარჯა 8 352,8 ათასი ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 7.1%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 34 819,5 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების _ 29.8%-ია.

ვალდებულებების კლებაზე მიიმართა 2 764,8 ათასი ლარი, ხვედრითი წილი _ 2.4%-ია.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ხარჯები
(10 თვის საკასო შესრულება 116 968,6 ათასი ლარი)